ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1508002

ნომერი: AR1252156

თარიღი : 21.09.2014

გაცემის თარიღი : 25.09.2014

გაცნობის თარიღი : 25.09.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , ქუჩა ვეფხისტყაოსანი , N 16 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარგარიტა ინწკირველი პ/ნ 01024030110
- თბილისი ს. დიღომი ვეფხისტყაოსნის ქ. N 16 ბ. 119

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღია ავტოსადგომის მოწყობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

ქ. თბილისის მერიის სსიპ საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს #01/011171 11.03 2014 წლის წერილის თანახმად, მრავალბინიანი შენობა–ნაგებობების ეზოებში შლაგბაუმების მოწყობა საქართველოს მოქმედი „სახანძრო უსაფრთხოების წესების“ (იხ. დანართი) მოთხოვნების შესაბამისად ყოვლად დაუშვებელია, რაც დააბრკოლებს სახანძრო–სამაშველო ტექნიკის მანევრირებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, იმისათვის, რომ სამსახურმა აღნიშნულზე, კერძოდ ბარიერის (შლაგბაუმის სახით) მოწყობაზე გასცეს შესაბამისი წერილობითი თანხმობა, წარმოსადგენი იქნება ქ. თბილისის მერიის სსიპ საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს თანხმობა აღნიშნულთან დაკავშირებით, ასევე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის 100% კრების ოქმი, არებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი, აღნიშნული ფოტოსურათის საფუძველზე დამუშავებული ფოტომონტაჟი და მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა საპროექტო არეალის მონიშვნით.

თქვენ გეძლევათ 30 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.